1961/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს

უწყებები

№ 12 (135) 29 აპრილი 1961 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

188. კულტურული შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იტალიის რესპუბლიკას შორის.

განყოფილება მეორე

189. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სოციალისტური შრომის გმირის, ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ს. ქ. კოროტკოვის „ნამგლისა და უროს" მეორე ოქროს მედლით დაჯილდოების შესახებ.
190. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მწერალ გ. მ. მარკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
191. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ.
192. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ამხ. ვ. დ. ავალოვისა და გ. ი. ნოსკოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
193. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მილიციის ზემდეგის ლ. ს. მოლჩანოვის მედლით „მამაცობისათვის" დაჯილდოების შესახებ.
194. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა დრამატურგ ნ. ა. დიაკონოვის „საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოების შესახებ.
195. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. გ. კომიახოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ.
196. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ვ. მ. ალკაცევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

197. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ.

განყოფილება მეორე

198. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა გაზეთ „აფსნი ყაპშის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

სსრ კავშირის კანონები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

188 კულტურული შეთანხმება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და იტალიის რესპუბლიკას შორის

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობები, დარწმუნებულნი, რომ კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების, ტექნიკისა და სპორტის დარგში უფრო მჭიდრო კონტაქტების მეშვეობით სსრ კავშირისა და იტალიის ხალხთა შორის უკეთესი გაგება შეესაბამება საერთო ინტერესებს და წარმოადგენს სასარგებლო წვლილს საერთაშორისო ურთიერთობის განმტკიცების საქმეში მშვიდობიან საფუძველზე, შეთანხმდნენ ქვემომოყვანილზე:

მუხლი 1

შეთანხმების დამდები თითოეული მაღალი მხარე ხელს შეუწყობს მეორე მხარის ენის, ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის შესწავლას თავის ქვეყანაში კათედრების შექმნის, აგრეთვე სათანადო კონფერენციების მოწყობის მეშვეობით.

მუხლი 2

შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები წაახალისებენ უმაღლესი სასწავლებლების პროფესორების, პედაგოგებისა და სტუდენტების, მეცნიერების, ტექნიკოსების, მწერლების, მსახიობების, ჟურნალისტების, რადიო და ტელეხედვის მუშაკების, აგრეთვე, საერთოდ, იმ პირებისა და ჯგუფების გამგზავრებას, რომლებიც ეწევიან არტისტულ, მეცნიერულ, ტექნიკურ და სხვა ამგვარ მოღვაწეობას.

მუხლი 3

შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები დააწესებენ როგორც წლიურ, ისე მოკლევადიან სტიპენდიებს, რომლებიც ორივე ქვეყნის მოქალაქეებს საშუალებას მისცემენ დაიწყონ ან განაგრძონ სწავლა ან გამოკვლევები, ანდა დაამთავრონ მეორე ქვეყანაში მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული მომზადება.

მუხლი 4

სპეციალური შეთანხმების დადების მიზნით შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები შეისწავლიან პირობებს, რომელთა საფუძველზე ისინი შეძლებენ

უნივერსიტეტებისა და სხვა სასწავლებლების მიერ გაცემული ან მინიჭებული დიპლომებისა და წოდებების თანაბარფასიანობის აღიარებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 5

შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები ხელს შეუწყობენ თავიანთ ტერიტორიაზე იმ ნაწარმოებთა თარგმნასა და გამოცემას, რომელნიც გამოცემულია მეორე მხარის ტერიტორიაზე და რომელთაც აქვთ დიდი მხატვრული და მეცნიერულ-ტექნიკური ღირებულება.

მუხლი 6

შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები წაახალისებენ ორივე მხარის აკადემიებსა და სხვა კულტურულ და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის კონტაქტებს და ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცვლას იმ საკითხებზე, რომელნიც ურთიერთინტერესს წარმოადგენენ.

მუხლი 7

შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები შეთანხმდნენ აღმოუჩინონ ყოველგვარი დახმარება ტურიზმის განვითარებას. ისინი შეთანხმდნენ რომ აუცილებელია წაახალისონ რაც შეიძლება მეტი ტურისტის გამგზავრება ორივე ქვეყანაში და აღმოუჩინონ მათ ყოველგვარი დახმარება სათანადო ხალხების ცხოვრების გაცნობაში. ამ მიზნით ისინი კისრულობენ, რამდენადაც ეს შესაძლებელია, შეამუშაონ ფორმალობანი, რომელნიც დაკავშირებულია ტურისტულ მგზავრობასთან.

შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები დარწმუნებული არიან, რომ ტურიზმის განვითარება ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირ-იტალიის ურთიერთობის შემდგომ გაუმჯობესებას.

მუხლი 8

ორივე ქვეყნის ბიბლიოთეკების მეცნიერული, მხატვრული და ლიტერატურული ხასიათის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი გამოცემებით უზრუნველყოფის მიზნით შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები წაახალისებენ ყოველგვარი სახის გაცვლას ორივე ქვეყნის საჯარო ბიბლიოთეკებსა, უმაღლეს სასწავლებლებსა, აკადემიებსა და სხვა სამეცნიერო, სამხატვრო და კულტურულ დაწესებულებებს შორის.

მუხლი 9

14 მუხლის შესაბამისად შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები წაახალისებენ სათანადო ქვეყნების კულტურის უფრო ღრმა გაცნობას:

ა) როგორც დედა-ენაზე, ისევე თარგმნილი წიგნების, პერიოდული გამოცემებისა და მხოლოდ კულტურული, მხატვრული, მეცნიერული და ტექნიკური ხასიათის მიკროფილმების გაცვლის მეშვეობით;

ბ) მეცნიერული და ტექნიკური გამოფენების, მხატვრული გამოფენების, ხელოვნებისა და მეცნიერების დარგის წიგნების გამოფენების, კულტურული გამოყენებითს ნაკეთობათა გამოფენების გაცვლის მეშვეობით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) კულტურის, ხელოვნების, მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში რადიოგადაცემებისა და ტელეგადაცემების გაცვლის მეშვეობით;

დ) დოკუმენტური ფილმების გაცვლის მეშვეობით;

ე) მეცნიერულ-ტექნიკური და კულტურული დელეგაციების გაცვლის მეშვეობით.

შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები შეთანხმდნენ, რომ გარდა ამისა, ორივე ქვეყნის კინოხელოვნების მიღწევათა პოპულარიზაციის მიზნით პერიოდულად მოაწყონ „კინოფილმის კვირეულები“ ან ცალკეული ფილმების პრემიერები.

მუხლი 10

14 მუხლის შესაბამისად შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები ხელს შეუწყობენ სათანადო ქვეყნებში კომერციულ საფუძველზე თეატრალური და მუსიკალური გამოსვლების და, კერძოდ, მხატვრული კოლექტივების, ორკესტრებისა და ცალკეული შემსრულებლების გამოსვლების რიცხვის ზრდას, მხატვრული ფილმების, გრამოფონის ფირფიტების ყიდვა-გაყიდვას და საბჭოთა და იტალიელ სპორტსმენთა შორის შეხვედრებისა და შეჯიბრებების მოწყობას.

მუხლი 11

ამ შეთანხმების განხორციელებისათვის შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები თანასწორუფლებიანობის საფუძველზე შექმნიან შერეულ კომისიას, რომელიც მოიწვევა წელიწადში ერთხელ მაინც, რიგრიგობით სსრ კავშირსა და იტალიაში, მოსკოვში — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ან მის მიერ დანიშნული პირის თავმჯდომარეობით, რომში — იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრის ან მის მიერ დანიშნული პირის თავმჯდომარეობით.

მუხლი 12

შერეული კომისია უნდა შეუდგეს დაწვრილებითი წლიური პროგრამისა და, შეძლებისდაგვარად, შესაბამისი კალენდარული გეგმის დამუშავებას, გაუწიოს კონტროლი და მოახდინოს მათი განხორციელების კოორდინაცია, წაახალისებს რა იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ინიციატივას, რომელნიც ახორციელებენ ამ შეთანხმებით გათვალისწინებულ საქმიანობას. წლიურ პროგრამაში შესატანი ორივე მხარის წინადადებები უნდა წარედგინოს განსახილველად შერეულ კომისიას რაც შეიძლება ადრე, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს ერთი თვისა მის მოწვევამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 13

ანიჭებენ რა დიდ მნიშვნელობას ხალხების ცხოვრების წესის ურთიერთგაცვლობას, შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები კისრულობენ აგრეთვე წაახალისონ თავისუფალი ინიციატივა კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის დარგში საბჭოთა კავშირისა და იტალიის არასახელმწიფოებრივ ორგანიზაციებს შორის.

კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური გაცვლის წლიური გეგმის შედგენა, რომელზედაც იმუშავებს საბჭოთა კავშირ-იტალიის შერეული კომისია, არ გამორიცხავს აგრეთვე სხვა ღონისძიებების განხორციელებას კულტურული და მეცნიერული ურთიერთობის დარგში, როგორც ორივე მხარის სახელმწიფოებრივი ხაზით, ისე არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციებისა და ცალკეულ მოქალაქეთა ხაზით. ამასთანავე იგულისხმება, რომ შერეული კომისია ან შეთანხმების დამდები მეორე მხარის სახელმწიფო ორგანოები თავის დროზე იქნებიან ინფორმირებული ყოველგვარი ინიციატივის შესახებ კულტურული და მეცნიერულ-ტექნიკური ურთიერთობის დარგში, რომელიც არ შედის წლიურ გეგმაში.

მუხლი 14

შეთანხმების დამდები მაღალი მხარეები კისრულობენ განახორციელონ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული მთელი საქმიანობა ნაცვალგების საფუძველზე და სათანადო ქვეყნის კანონებისა და წესების სრული შესაბამისობით. ამ საქმიანობის განხორციელების დროს მკაცრად იქნება დაცული მეორე მხარის შინაურ საქმეებში ჩაურევლობის პრინციპი.

მუხლი 15

ეს შეთანხმება რატიფიცირებულ უნდა იქნას რაც შეიძლება მალე და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომენტიდან, რაც მოხდება რომში.

მუხლი 16

ეს შეთანხმება დადებულია განუსაზღვრელი ვადით და რჩება ძალაში მანამდე, სანამ იგი არ იქნება დენონსირებული შეთანხმების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ. ასეთ შემთხვევაში შეთანხმება კარგავს თავის ძალას დენონსაციის შესახებ განცხადებიდან ექვსი თვის შემდეგ.

ზემოაღნიშნულის დასადასტურებლად ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერმა რწმუნებულებმა ხელი მოვაწერეთ ამ შეთანხმებას და დავუსვით მას ჩვენი ბეჭდები.

შედგენილია მოსკოვში 1960 წლის 9 თებერვალს ორ ეგზემპლარად, რუსულ და იტალიურ ენებზე; ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობის მაგიერ

გ. ჟუკოვი.

იტალიის რესპუბლიკის მთავრობის მაგიერ

ჯ. პელა.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1960 წლის 20 მაისს; იტალიის რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ — 1961 წლის 4 აპრილს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა რომში 1961 წლის 10 აპრილს.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

189 სოციალისტური შრომის გმირის, ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ამხ. ს. ქ. კოროტკოვის „ნამგლისა და უროს“ მეორე ოქროს medlით დაჯილდოების შესახებ

სიმინდის მაღალი მოსავლის მოყვანაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის, ხორცის, რძისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებისა და სახელმწიფოსათვის მიყიდვის საქმეში დიდი წარმატებებისათვის და კოლმეურნეობის თავმჯდომარის პოსტზე მრავალი წლის თავდადებული მუშაობისათვის სოციალისტური შრომის გმირი, ჩუვაშეთის ასსრ ვურნარის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. სერგი ქსენოფონტეს ძე **კოროტკოვი** დაჯილდოებულ იქნას **„ნამგლისა და უროს“ მეორე ოქროს medlით.**

სოციალისტური შრომის გმირის ამხ. ს. ქ. კოროტკოვის შრომითი გმირობის აღსანიშნავად აიგოს დაჯილდოებულის ბრინჯაოს ბიუსტი შესაბამისი წარწერით და დაიდგას გმირის სამშობლოში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 18 აპრილი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

190 მწერალ გ. მ. მარკოვის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში დამსახურების აღსანიშნავად მწერალი გიორგი მოკეის ძე **მარკოვი** დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 18 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

191 საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოების შესახებ

სარდლობის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. პოდპოლკოვნიკი ფროლ დიმიტრის ძე **კოზლოვი.**
2. კაპიტანი ალექსანდრე ნიკოლოზის ძე **კუფინი.**
3. რიგითი ევგენი გაბრიელის ძე **მეჟუევი.**
4. კაპიტანი ივანე ნიკიტას ძე **ფომინი.**
5. რიგითი მიხეილ ივანეს ძე **შანდიგაევი.**
6. ეფრეიტორი ალექსი ნიკიტას ძე **შევერევი.**

მედლით „მამაცობისათვის“:

1. სერჟანტი ვიქტორ გრიგოლის ძე **ამბარცუმიანი.**
2. ეფრეიტორი მიხეილ ემელიანეს ძე **ბრიანცევი.**
3. ეფრეიტორი ნიკოლოზ ივანეს ძე **გორბაჩევი.**
4. ეფრეიტორი ანატოლი ალექსანდრეს ძე **სიდოროვი.**
5. სერჟანტი ვიქტორ პეტრეს ძე **ფომიჩევი.**
6. ეფრეიტორი ევგენი ელასის ძე **ფუნკოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 19 აპრილი.

192 ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ამხ. ვ. დ. ავილოვისა და გ. ი. ნოსკოვის წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოების შესახებ

მეთაურის სიცოცხლის გადარჩენის დროს მამაცობისა და გამბედაობის გამოჩენისათვის **დაჯილდოებულ იქნან:**

წითელი ვარსკვლავის ორდენით:

1. უმცროსი სერჟანტი ვლადიმერ დიმიტრის ძე **ავილოვი.**
2. ეფრეიტორი გრიგოლ ივანეს ძე **ნოსკოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 19 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

193 მილიციის ზემდეგის ლ. ს. მოლჩანოვის მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

მოქალაქეთა სიცოცხლისა და მათი ქონების გადარჩენის დროს მამაცობისა და გამბედაობის გამოჩენისათვის მილიციის ზემდეგი ლეონიდე სიმონის ძე **მოლჩანოვი** დაჯილდოებულ იქნას მედლით **„მამაცობისათვის“**.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 19 აპრილი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

194 დრამატურგ ნ. მ. დიაკონოვის „საპატიო ნიშნის“ ორდენით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის, დაბადების ორმოცდაათი წლისთავისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ოცდაათი წლისთავის გამო დრამატურგი ნიკოლოზ მიხეილის ძე **დიაკონოვი** დაჯილდოებულ იქნას **„საპატიო ნიშნის“** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 19 აპრილი.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

195 ამხ. ვ. ბ. კომიახოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის უკრაინის კპ პოლტავის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვასილ გრიგოლის ძე **კომიახოვი** დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 20 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

196 ამხ. ვ. მ. ალკაცევის შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაბადების ორმოცდაათი წლისთავის გამო და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დამსახურებისათვის სკკპ ჩრდილოეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვლადიმერ მიხეილის ძე ალკაცევი დაჯილდოებულ იქნას **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1961 წლის 21 აპრილი.

საქართველოს სსრ კანონები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებები, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები და დადგენილებები

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

197 „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების შემდგომი განვითარების ხელის შეწყობის მიზნით დაწესდეს **„საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“** საპატიო წოდება.

2. „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის“ საპატიო წოდება მიენიჭებათ ქართული საბჭოთა სახვითი ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებს მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნისათვის და დამსახურებისათვის ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკის, თეატრალურ-დეკორაციული და დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების განვითარების საქმეში.

3. საქართველოს სსრ საპატიო წოდებათა შესახებ დებულების პირველ განყოფილებას დაემატოს სიტყვები: „საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი“; ხოლო ამავე დებულების II განყოფილებას ამ ბრძანებულების მე-2 პუნქტი მე-20 პუნქტად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 25 აპრილი.

198 გაზეთ „აფსნი ყაპშის“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „აფსნი ყაპშის“ პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცი წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნას გაზეთი „აფსნი ყაპში“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.

ქ. თბილისი, 1961 წლის 22 აპრილი.